საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2018 წლის 08 ოქტომბერი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №1/18

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- (მოპასუხის წარმომადგენელი) 2018 წლის 5 იანვრის №1 საჩივრის და -- -- (მოპასუხე) 2018 წლის 31 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 26 ივნისის №1/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი -- -- აღნიშნავს, რომ მას შემდეგ რაც ჩაერთო საქმეში წარმომადგენლად, შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა არასათანადო მოსარჩელის შეცვლა, რაზეც მოსამართლემ განუცხადა, რომ მთავარ სხდომაზე შუამდგომლობებს არ იხილავდა, ეს კი მიუთითებს მოსამართლის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებაზე. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე არ აძლევს მას საშუალებას დაასრულოს წინადადება, აწყვეტინებს გამოსვლას, დამცინავი და ქედმაღლური ტონით ესაუბრება, ემუქრება დაჯარიმებითა და დარბაზიდან გაძევებით. საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევაზე.

1.2. საჩივრის ავტორი -- -- აღნიშნავს, რომ მოსამართლემ არ განიხილა მისი წარმომადგენლის შუამდგომლობა, ასევე დარბაზიდან გაძევებით ემუქრებოდა ადვოკატს, ხოლო სხდომა

გააგრძელა 20:00 საათამდე, ისე რომ მხარეებისათვის არ უკითხავს თანახმა იყვნენ თუ არა 18:00 საათის შემდგომ გაეგრძელებინა განხილვა. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უკანონობაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 29 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა-- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით (--, --). (მოსამართლე -- --).

2016 წლის 19 სექტემბერს მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მოპასუხეთათვის სარჩელის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (შესაგებელი წარმოდგენილია 19.09.2016 წელს).

2017 წლის 15 ივნისიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --, რომელმაც საქმის განხილვა დანიშნა 2017 წლის 2 აგვისტოს, საქმის განხილვა გაგრძელდა 2017 წლის 23 აგვისტოს, ხოლო შემდგომი სხდომა გადაინიშნა 2017 წლის 22 სექტემბერს.

მოსამართლემ სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნა 2017 წლის 27 ოქტომბერს, რომელიც გაგრძელდა 2017 წლის 24 ნოემბერს, ხოლო საქმის განხილვა გაგრძელდა 2017 წლის 13 დეკემბერს.

საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მოსამართლემ გამოაცხადა 2018 წლის 17 იანვარს გამართულ სხდომაზე.

2018 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ დაკმაყოფილდა. უძრავი ნივთი, მდებარე --, მისამართზე -- --, გამოთხოვილ იქნა მოპასუხეების - -- --, -- --, -- -- და -- -- - უკანონო მფლობელობიდან და აღნიშნული უძრავი ნივთი თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მოსარჩელე -- --.

გადაწყვეტილება მოპასუხეთა მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა 2018 წლის 7 მარტს.

2018 წლის 2 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი (ვადის დარღვევის გამო).

-- სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრის განხილვა მიმდინარეობს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოსამართლის მხრიდან ეთიკური ნორმების დარღვევის საკითხის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთი დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს ეთიკის წესების დარღვევა.

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-9 მუხლის თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ. ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

სასამართლო სხდომების დეტალური გაანალიზება შესაძლებელი გახდა აღნიშნული სხდომის ვიდეო ჩანაწერის საშუალებით, რომელშიც ზედმიწევნით კარგად ისმის მთელი პროცესის

მიმდინარეობა. უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სხდომაზე მოსამართლე -- -- ქმედება არ გასცდენია მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. მოსამართლის ქცევაში არ შეინიშნებოდა დამცინავი ტონი, რაზეც მიუთითებენ საჩივრის ავტორები.

საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ მოსამართლემ არ განიხილა მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე“. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად „სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. მტკიცებულებათა მიუღებლობის, მათ გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება.“

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე -- -- შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

რაც შეეხება საჩივრის ავტორთა მითითებას, მოსამართლის დაჯარიმების შესახებ მუქარაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის თანახმად, „მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას“. ამავე კოდექსის 212-ე მუხლის თანახმად, „სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება

გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა.“ მოსამართლე მოუწოდებდა წარმომადგენელს, -- -- წესრიგის დაცვისკენ და მიუთითებდა მის ვალდებულებაზე დაეცვა წესი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაჯარიმდებოდა.

საჩივრის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ მოსამართლემ ისე გააგრძელა საქმის განხილვა არასამუშაო საათებში, რომ მათთვის არ უკითხავს თანახმანი იყვნენ თუ არა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის საფუძველზე, „მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია განიხილოს საქმე ან/და მიიღოს გადაწყვეტილება არასამუშაო დროს, მათ შორის დასვენებისა და უქმე დღეებში“. მართალია, განსახილველ შემთხვევაში მოსამართლემ სხდომის განხილვა სამუშაო საათებს გადააცილა 36 წუთით, თუმცა ამის შესახებ, როგორც ვიდეო მასალებიდან ჩანს, მხარეებს სასამართლო სხდომის არასამუშაო საათებში მიმდინარეობისას პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ამასთან, უნდა აღნიშნოს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სხდომის გაჭიანურებით მხარეებს რაიმე სახის ზიანი არ მიდგომიათ.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 8 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №1/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი